

საქართველოს ოქცონი

№ 1965

შაბათი, 26 თებერვალი

1896—1902

საქართველოს ბიბლიოთეკა

№ 1965

საგარეო დიპლომატიის ფეხობა... 10 კა, მეოთხეზე—5 კა.

სულ-მოუწყვეტი წვილები არ დაიბრუნდა... თუადლის 11—1-ს სათამაშო.

1903 წელს... გზებით „იმერია“ გამოვა იმავე სივრცით და პრეზერვით, რაც...

ქართულ თეატრ-მხატვრობის თეატრი (ტელეფონი № 617) დღეს, შაბათს, 26 თებერვლს...

ბიბლიოთეკის... ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო და 75 კაპიტალი

პანატიონი... ბიზნისი და პრეზერვით მონაწილეობით

ბიბლიოთეკის... ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო და 75 კაპიტალი

პანატიონი... ბიზნისი და პრეზერვით მონაწილეობით

ბიბლიოთეკის... ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო და 75 კაპიტალი

პანატიონი... ბიზნისი და პრეზერვით მონაწილეობით

ბიბლიოთეკის... ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო და 75 კაპიტალი

პანატიონი... ბიზნისი და პრეზერვით მონაწილეობით

ფელეტონი... მარიამ კონსტანტინა (ერნატი Zeit-იდან) ეხლანდეს პოლონელებმა დიდის აშპით...

პანატიონი... ბიზნისი და პრეზერვით მონაწილეობით

თვის... და მერე რამდენი ფული და შრომა იხარჯება ასეთ სკოლაზე! რისთვის? ანუ რა ვინაობა მოგვარებით?

შეიძლება ვიციკლი მოგვეპაროს და... (ბოლოში ვინღი უმდაბლესად ასეთ მეტად არა ლიტერატურულ სიტყვისათვის) ხშირად ზედაც შეგვრძინებულყოფით, მაგრამ ერთი ვერ გამოვიდა: ჩვენი სტუდენტებისაგან და ჟურნალ-გაზეთებიდან ვიცნობ იმ მეტად სიმბატურ ტიპს, რომელიც რუს მასწავლებელ ქალებს ეხება; მისი ღვაწლი დაუფასებელია თურმე რუსეთის სოფელში და ქალაქშიაც.

რაღა ემართება ამ უანგარო, ხალხისათვის თავდადებულ მოღვაწეს ჩვენში? აქ არა თუ ხმას არ იღებენ ისინი ზოგჯერ არა პედაგოგიურ წესების წინააღმდეგ, რომელიც, მაგალითად, საქალაქო სკოლებში არსებობს, (მაგ. მესხეთე და მეექვსე გვერეთილი ადგილობრივ ენებისათვის), არამედ ხელს უწყობენ კიდევ მათ.

სასურველია საბჭოში აღიქვას ეს საკითხი და, თუ ესოდნულ კანონით უფლება არაფერი აქვს საბჭოს საქალაქო სკოლების საქმეში, ის მაინც მოახერხოს, რომ ყურადღება მიუქციონ ასეთ არანორმალურ მდგომარეობის იმ მხარეს მაინც, რომელიც (მაგალითად, გავრეთილების რიცხვი, რტუ-ზემციების არ მიღება და სხვა) არსებულ კანონსაც კი ეწინააღმდეგება. * *

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ამერიკელ კაპიტალისტების ამხანაგობა— განთქმულ მილიარდების მორგანის მონაწილეები— ცდილობდნენ, კონცესია მიეღოთ ლონდონში მიწის ქვეშ ახალი რკინის გზის გასაყვანად. 16 ოქტომბერს ამის თაობაზე საინტერესო კამათი მოხდა დეპუტატთა პალატაში. ადრე პალატამ მასცა კიდევ მორგანის ჯგუფს ეს კონცესია, მაგრამ სხვა-და სხვა მიზეზების გამო კონცესიას ძალა დაეკარგა. 16 ოქტომბერს დეპუტატმა აშტონმა წინადადება მისცა პალატას, ისევე აღვადგინოთ ეს კონცესია. მაგრამ პალატამ ისე ცუდად მიიღო ეს წინადადება, რომ აშტონმა მოკლე კამათის შემდეგ უკან გაიტანა თავის წინადადება.

პალატის დადგენილებას პრესაც დიდის თანაგრძობით მიეგება. ეს თანაგრძობა ცალკე იმით აიხსნება, რომ ინგლისის საზოგადოებას ამერიკის კაპიტალის „შემოსევა“ მოჰმზობდა; ცალკე კიდე იმით აიხსნება, რომ გაზეთებს იმედი მიეცათ, „მეტროპოლიტენის“ აშენების უფლება ლონდონის საგრაფოს საბჭოს მიეცემაო. ამ ნიარად უტყვირის საქმეს „დეილი ნიუს“-იც, ლიბერალურ პარტიის გაზეთი შეჰნიშნავს:

„პალატის უარს, იმედი გვაქვს, შედგად ის მოჰყვება, რომ მთელი ეს საქმე ხელმეორედ იქნება განხილული. დიდს პატივსაც ვსცემთ პარლამენტის კომიტეტებს, დაწამუ-

ნებულოცა ვართ, რომ ეს კომიტეტები დიდის ცოდნითა და მიუდგომლობით არჩევენ კერძო ბილებს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ იმათი საქმე არ არის კონცესიების დაბრუნება გინდ ლონდონში იყოს, გინდ სხვა ქალაქებში. პარლამენტი არის დროს არ უნდა ეცილებოდეს და უფლებას ართმეოდეს მუნიციპალიტეტებს. გზებისა და მიმოსვლის გამართვა ქალაქებში, მიწის ზემოდ იქნება, თუ ქვეშა, ეს მუნიციპალიტეტის საქმეა და არა პარლამენტისა. უნდა გულახდილად აღვივართ, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლიან რჩევა მისცეს პარლამენტს და მართა ამ დაწესებულებას შეუძლიან საფუძვლიანად სთქვას, თუ რა პირობით შეიძლება საქმის დაწყება. მაშინ უნდა დააშენოს მიწის ქვეშ რკინის გზები: კაპიტალისტებმა, თუ მუნიციპალიტეტმა? უნდა ესთქვას, რომ მუნიციპალიტეტს მეტი-მეტად დიდი უპირველესობა აქვს. ჯერ ერთი, რომ კაპიტალისტები მართა თავიანთ საკუთარს მოგებას უყურებენ; ლონდონის საგრაფოს საბჭო კი იმელებული იქნება მთელის ქალაქის სასარგებლოდ იმოქმედოს და, რამდენიც კი შეუძლიან, მთელის ლონდონის ინტერესები დაიცვას. რაკი კონცესიას მიიღებს ტრესტი, მართა თავის მონაწილეთა დივიდენდისათვის იზრუნავს, საგრაფოს საბჭო კი ეცდებოდა ხალხს მიმოსვლა გაუთავოს და გააუმჯობესოს. სხვაფრივაც მუნიციპალიტეტს აქვს უპირატესობა. ლონდონის კრედიტი სჯობია და მალა სდგას მორგანისა, ანუ შეიქრის კრედიტზე. ერთის სიტყვით, როგორც უნდა შეზღუდოთ საქმეს, დარწმუნდებით, რომ ლონდონის საგრაფოს საბჭოს უნდა მიეცეს კონცესია და არა კაპიტალისტებს.“

ლორდ კიტჩენერი ინდოეთში დანიშნეს მთავარ-სარდალად. როცა მთავარ-სარდალი ინდოეთში წავიდა, იქაურ ქალაქის საბჭოებში საინტერესო ლაპარაკი ჰქონიათ, როგორ დაუხვდეთ კიტჩენერსაო. რუსკია ვედომოსტი-ს ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგს იწერება ამის თაობაზე:

„ქალაქ ბომბეიდან (ინდოეთშია) მიღებულ გაზეთებში ერთი საინტერესო ანგარიში წავიკითხე. ეტყობა, ინდოეთშია ილიდებენ საზოგადოება. ბომბეის ქალაქის საბჭოს კრება მოეხდინა იმის თაობაზე, რომ ლორდ-კიტჩენერს მისასალმებელი ადრესი მივართვათო. ეს პროექტი მაშინდის ხმოსანს კაბრჯის შეიტანა და ამის გამო სიტყვაც წარმოეთქვა და სხვათა შორის ეთქვა: ჯერ ესეთის პატივითა და დიდებით მოსილი მთავარ-სარდალი ინდოეთში არ მოსულა და არავის არ შეურყულია ისეთი დიდებული საქმეები, როგორც კიტჩენერმა შესრულაო! — რომელ დიდებულ ჰლაპარაკობთ? — ეპასუხნა მეორე მაშინდის ხმოსანს ვამას. — იქნება მაშინდის საფლავის წაბილწვა დიდებულ საქმედ მიგანჩითაო? — კაბრჯის მიეგო: კიტჩენერმა ომღურმანთან მაქდი გაანადგურა და ამით იმპერიას დიდი სახელი შესძინაო. ამ

სხვა უფრო პატარა მწერლები. პოზიტივისმის გაღვენა იყო აგრეთვე ის მოვლენაც, რომ პოლონურმა მწერლობამ, რუსეთის სამოციან წლების ბელეტრისტიკასთან ერთად, გლეხის ცხოვრებას მიუქცია ყურადღება. (სენკევიჩის „ნახშირით ნახატი სურათები“ და „იანკო მეშუსიკი“, ბოლესლავ პრუსის „მიხალკა“). ამ მიმართულების ნამდვილი შვილია მარიამ კონოპნიცკაცი.

იგი ვატაცხებულის თავიანთს მკვემელია პროგრესის, განათლების, თავისუფალ აზროვნებისა და მოქმედების. სამწერლო ასპარეზზე კონოპნიცკა პირველად დრამატული ნაწევრებით გამოვიდა, მისი გვირგვინი იყვნენ ვალილივი და ჰუსი. შემდეგ შიაც ხშირად დაბრუნებია იგი ძველ საბერძნეთისა და განახლების ხანას; ხან სინათლისა და ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა საგმრო საქმეებს უმღეროდა; ხან საბრალო მონის ტანჯვასა და მონობის საშინელს შედგეს დაჰყენესოდა (ასეთია კონოპნიცკას ლექსთა კრებული „ჰელენიკა“ და „იტალია“). მაგრამ ეს ვატაცხეა იმ თავითვე ხელს არ უშლიდა მგოსან ქალს სიყვარულით ღრმად ჩაჰკვირვებოდა თავის ქვეყნის სოფლებების ცხოვრებას და ტანჯვა-ვაგებას, შეეთვისა მელიოდები და ეგემა მათი მწარე ცრებლები. 1881-ში გამოვიდა პირველი ტომი კონოპნიცკას ლექსებისა (ვარშავაში) და მთელი მკითხველი საზოგადოება პირველად გონს

ვერ მოსულიყო განცვიფრებით: თვალ-წინ წარმოუდგა პოლონელი გლეხი მთელ თავის სამწუხარო სინამდვილითა და სიმწარით; ამასთან ენა ლექსებისა, საზოგადოდ მათი ფორმა შესანიშნავი იყო ხელოვნებით.

კონოპნიცკას ლექსებმა გააფანტა ის ნისლი, რომელიც წინანდლობა მწერლებმა ვარს შემოახვეეს პოლონელ გლეხს: ვაჰკრა შეთხზული ტიპი გულკეთილ და მუდამ მხიარულ-კმაყოფილის ან მამულისთვის თავდადებულ გლეხისა. მისი ადგილი დაიკავეს „თავისუფალ დღეურ მუშა“მ. სახლიდან და მამულიდან განდევნილმა, რომელიც შორს ქვეყანაში მიდის სასოწარკვეთილებით მოხხუზულ სულით; აგრეთვე ფუხშიშველა გლეხის ბიჭებმა, რომელნიც შობა დამეს მებატონის სახლის წინ დგანან და მღერიან, მშვიდის თვალებით იტყვირებინ განათლებულ თბილი ოთახებში და უფულო ცივ ვარსკვლავებში მხროლდ თავის ბედის კრულვის კითხულობენ. „ვარსკვლავები მალაღ ციდან სინათლეს ავრცელებენ, მაგრამ არ იფიქრო, გლეხო, რომ ისინი შენთვისაც ანათებენ!“ კონოპნიცკას პირველი ლექსები, უიმედო სიბერვისა და სიღატაკის გამომხატველნი, მეტად მწვავე ირონიითა და საზოგადოებისადმი მიმართულ მწარე საყვედურით არის საესე.

რათ არის ოკეანესავით უკიდური და ღია იარასავით საშინელი ის უფსკრული, რომელიც ადამიანებს მძარცველებად და გა-

პასუხმა დიდ შფოთი ასტეხა საბჭოში ერთს ხმოსანს ეთქვა: კიტჩენერის დროს მაქდი ცოცხალი აღარა ყოფილაო. მეორემ ვთხხენა, რომ კიტჩენერმა ომღურმანის ადების შემდეგ დიდ-ძალი ხალხი გასწყვიტაო. მე-სამემ სთქვა, რომ სუდანის ომისათვის უმთავრესად ინდოეთმა გაიღო ხარჯი. ბოლოს 25 ხმის უმეტესობით 7 წინააღმდეგ ბომბეის საბჭომ გადასწყვიტა ლორდ-კიტჩენერს მისასალმებელ ადრესს ნუ მივართმევთო.“

საზრანავთი. როგორც მოვლოდნენ, ისეც ასრულდა. პალატის ოპოზიციამ, ანუ უმცირესობამ არ მიიღო მონაწილეობა იმ კომისიის არჩევანში, რომელმაც კონგრეგაციების თხოვნები უნდა განხილოს. ამის გამო 17 ოქტომბერს არჩევანში მარტია 306 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა და მარტინენა პარტიის 33 კანდიდატი სუყველანი უბრძოლველად აირჩიეს. ყოველმა კანდიდატმა 276—282 ხმა მიიღო. კომისიის წევრთაგან რამდენიმე კაცი დიდი მტერია კონგრეგაციებისა. იმავე დღეს საბიუჯეტო კომისიაც აირჩიეს ამ კომისიაში 33 წევრია: 22—მთავრობის მომხრე, ამათ შორის კორონი და სემბაცი, და 11 ოპოზიციის წევრია. კომისია საქამო კარგის თვალით უყურებს რუსვის ბიუჯეტის პროექტს.

პადეკალეს მადნის ღირებულებებს მიუყვირით ადგილობრივ პრეფექტისათვის, თანახმა ვართ მადნის მუშების დელეგატებთან მოლაპარაკება გავმართოთ; სამედიცინო სამართალით საქმის გადაწყვეტა კი ადრეულად მიგვანჩითაო. ღირებულებები სწორენ: „სამედიცინო სამართალს რომ დავსთანხმდეთ, მაშინ მოლაპარაკებას ყოველი მნიშვნელობა დაეკარგება; ყველა იფიქრებს, სულ ერთია, მოლაპარაკებით საქმე არ გათავდება, უსათუოდ სამედიცინო სამართალს უნდა მიგმართოთ და ამის გამო საქმის გადაწყვეტა ძლიერ დაგვიანდება. ამას გარდა, მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ შეიძლება იმის გადაწყვეტა, თუ რაზე უნდა ჰქონდეს სჯა სამედიცინო მოსამართლეებს და რა პირობით უნდა შეუდგნენ სამართლის გადაქრას“.

პალატაში ჟორესმაც ილაპარაკა, რომ დავა სამედიცინო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოსო. კომბმა გამოაცხადა, მადნის პატრონებისაგან ჯერ ოფიციალური პასუხი არ მიმილია, მაგრამ, თუ მოლაპარაკებიდან არ გამოვა რა, იმედი მაქვს, მადნის პატრონები სამედიცინო სასამართალს დასთანხმდებიანო.

პარიზელმა მუსიკანტებმა წარსულ ხუთშაბათს შრომის ბირვის სახლში კრება მოახდინეს და დაადგინეს საყოველთაო ვაფიცვა მოგახდინოთ, თუ რომ ღირებულებები ჯამაგირებს არ მოგვიმტებენო. კრებას 1400 მუსიკანტი დაესწრო.

ძარცულებად ჰყოფს? რათ ვერ გაუსწორებია, ვერ აუღვია იგი შურისძიების აღმონახეთქებს თავის ცუცხლითა და მუგუზხლით? სად არის იგი სასოწარკვეთილებასავით უძირო და მძულვაკრებასავით შეუბრალებელი და ცეცხლომღობებული?

მაგრამ მძულვარება და მწარე ირონია არ არის ნამდვილი თვისება მგოსან ქალის სულისა. ეს მხოლოდ ახალგაზდა მწიფეარე და მღელვარე სისხლის შედეგი იყო. კონოპნიცკას პოეზიის ნამდვილი კილო ღრმა სევდაა, მოშივნანი, მაგრამ თან უშფოეო. აქ გამოიჩინა მან თავისებური და ძლიერი ძალა, დაუშრეტელი სიმდიდრე სურათებისა და ენის მოქნილობისა. „არ ვჩივი, ღმერთო, და არც ვსტერი, როცა ქარიშხალი სასოგების წარმკვეთ კვნესით ცრემლით საესე ღრუბლებს მორგეს და მლოცველთა გოდებას მთელ დედამიწას მოჰვენს; როცა ქალებს შავი ნისლი დაჰფარავს და თითუელი მწვერვალი უსულო კლდის ნატებია (აქ ყველაფერი აღეგორიულად გასაგებია—ცენზურას დიდი გავლენა ჰქონდა კონოპნიცკას პოეტურ ნაწერებზე! არც მაშინ ვჩივი, როცა მზე არ ანათებს ღარიბის ქოხსა და ტუსლის საპარობილებს; არც მაშინ, როცა მწუხარებით აღსავსე საუკუნოების თაობანი ერთი მეორეს მიჰყვება და მხოლოდ უსიციოცხლო სურვილების კვალი აჩნიათ; არც მაშინ, როცა ქვეყანაზე ამდენი მწუხარება

ახალი ამბავი

გუშინ, 25 ოქტომბერს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა ბნმა მეღვედემა აცნობა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ მომავალ 1903 წლის გაზაფხულზე ქალაქ რომში მოხდება საერთაშორისო კრება მთელის ქვეყნის სოფლის მეურნეთა არმო მადგენლებისაო. ამ კრებამ უნდა განხილო სხვა-და-სხვა საქმეები სასოფლო მეურნეობის შესახებ. რწმუნებულმა ამასთანავე გაუგზავნა საბჭოს პირამმა მომავალ კრებისა.

უმადლესმა მთავრობამ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობას გამოუსეგ ყურნადი ამ სათათური: „Вѣстникъ Закавказья Желѣзныя Дорогъ“.

ფინანსთა სამინისტრომ, სხვათა შორის, კავკასიის სამურნეო საზოგადოებასაც გამოუგზავნა პროექტი **ზარაძელი ვაჭრობის გაწესების შესახებ**. სამეურნეო საზოგადოებამ კომისია აირჩია და იმას მიანდო ამ საქმის გამორკვევა. გუშინ სამეურნეო საზოგადოებაში კომისიის კრება იყო, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ტფილისის ბანკების წარმომადგენელი და ვაქრებიც; მოისმინეს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრის ა. ბ. ვვანგულოვის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ტფილისში საეკრთო ბირჟა და ელექტრო რეზარდესო ბნი ვვანგულოვი ამტკიცებდა ამ დაწესებულებათა დაარსება დიდად ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობას და მწარმოველთაო. ბევრი მოსოზრება მოიყვანა ამ საქმეობის დასაკმაყოფილებლად; სხვათა შორის, ცნობები მოიყვანა ვაქრობისა: ამ კამად ტფილისის ვაქრობა წელიწადში 28 მილიონამდე ადის თურმე; აქედან ქალაქში შემოდის თითქმის 9 მილიონის საქონელი და გაქვთ აქედან 19 მილიონ-ნახევრისა. ამისთანა ვაქრობა აქა და საქმის ტრიალი კი თვითონ ვაქრობის ხელშია და, როგორც უნდათ, საქმეს ისე აწარმოებენ. იმის გაწესობა მხოლოდ საეკო ბირჟას შეუძლია, სადაც მწარმოებელი და მსყიდველი ერთად შეხვდებიან და მორიდდებიანო.

ამის გარდა საქიროა ეხლავე დაარსდეს ტფილისში ცენტრალური ელექტრორი, სადაც ყოველგვარი მარცვალი უნდა მოიხილოს, გარდა სიმინდისა, რომლის ცენტრალური ელექტრორი ფოთში უნდა დაარსდესო. საწყობები-განყოფილება ამ ელექტრორებისა უნდა გაიმართოს: გორსა, ქარელსა, გომსა, ქუთაისსა, სამტრედიასა, აბაშასა, ახალ-სენაკსა, ბათუმსა, ვანჯასა, შამქორსა, აღსტაფასა, ძეგამსა, ფოილოსსა, ევლახსა, გუმბრსა და ყარსშიო.

დიდი ლაპარაკი გამოიწვია ბ-ნ ვვანგულოვის მოხსენებამ, ყველანი თანახმანი იყვნენ ტფილისში ბირვისა და ელექტრორების დაარსებისა, მაგრამ ზოგი სხვასაც თხოულობდა ამასთან. საკომერციო ბანკის გამ-

და ცრემლია, ამდენი გაქირვება და... და-ნაშაული; ირც მაშინ, როცა ხალხის თავზე საშინელი უბედურება მზადდება.. მე არ ვჩივი! რა გამოვა, თუნდ რომ შეგანძრო ქვეყანა ჩემ ჩვილთა ქარიშხალით? მე მხოლოდ სევდიანი ვარ და მწუხარე, რომ შენ, დიდებულო ღმერთო, ბატონი ხარ ყველა ამ სისაწყლისა“.

პირველ წიგნის შემდეგ კიდევ სამი ტომი თავის ლექსებისა გამოცემა კონოპნიცკამ; აგრეთვე რამდენიმე პატარა მოთხრობებიც. ყველა ნაწერების გვირგვინი სულ საწყალი ხალხია—ბეჩავი გლეხი ან ქალაქის უმიწაწყლო მუშა. კონოპნიცკას პოეტური ფიზიონომია არ გამოცვილია. მხოლოდ სიტყვა მისი უფრო მარტივი, ღრმა და ძლიერი შეიქნა. ირონია და მძულვარება ვაჰკრა, სამავიეროდ სევდა უფრო დიდი, უფრო ვრცელი გახდა. ღრმა ფესვები გაიდგეს პოეტის გულში პოლონელმა გლეხმა თავის მწუხარე სიმღერით და პოლონურმა ბუნებამ თავის სევდის მომგვრელ. ერთფერობით კონოპნიცკა საზღვარ გარედ იყო, ბევრი იმოგზაურა, ნახა იტალია და სტებებოდა ამ ქვეყნის ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებით, მაგრამ სამშობლოს უბედურებისა და მწუხარების სურათები თავიდან ვერ მოიშორა. ამიტომაც არის, რომ ლექსების ტმ მისა და ფორმის მრავალფეროვნების მიუხედავად, კონოპნიცკას პოეზიის ერთ კილოვ-

